სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/96

ქ. თბილისი 13 05 2019 წ.

სტუ-ს დიზაინის საერთაშორისო სკოლიდან აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოში (სენატში) წარმომადგენლების არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-12 მუხლისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის #01-05-04/77 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუ-ს დიზაინის საერთაშორისო სკოლიდან აკადემიური საბჭოს წევრის ორ და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ორ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმომადგენლების ასარჩევად დაინიშნოს არჩევნები 2019 წლის 03 ივნისს.
2. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრებს ირჩევენ დიზაინის საერთაშორისო სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სკოლის საბჭოს წევრ-სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
3. არჩევნები გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი - 1 ადგილი;
სტუდენტების წარმომადგენელი - 1 ადგილი.

4. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს დიზაინის საერთაშორისო სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს - დიზაინის საერთაშორისო სკოლის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი.

5. აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმომადგენლები აირჩევიან საბჭოების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.

7. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებს.

8. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 20 მაისს და დასრულდეს 27 მაისს.

9. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ დიზაინის საერთაშორისო სკოლის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში დაკავებული აკადემიური თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

10. დიზაინის საერთაშორისო სკოლის საბჭომ 2019 წლის 20 მაისამდე უზრუნველყოს საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

11. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა დიზაინის საერთაშორისო სკოლის საარჩევნო კომისიისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

12. არჩევნები ჩატარდეს დიზაინის საერთაშორისო სკოლაში, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

13. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

14. ბრძანება განთავსდეს დიზაინის საერთაშორისო სკოლის სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

რექტორი — **არჩილ ფრანგიშვილი**